საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

05/03/2025

MES 5 25 0000549997

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელ ი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.6. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 08 ნოემბრის №1442294 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) 1.1. კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, შედეგად, 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ბ) 1.2. კომპონენტში გაცემული 3 რეკომენდაცია ამოიღეს, შედეგად, 1.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

გ) 1.3 კომპონენტში გაცემული 1 რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, 1 რეკომენდაცია დაკორექტირდა;

დ) 1.4 კომპონენტში გაცემული 2 რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, 2 რეკომენდაცია დაკორექტირდა. 1 რეკომენდაცია ამოიღეს, 1 რეკომენდაცია დაამატეს.

ე) 1.5 კომპონენტში გაცემული 6 რეკომენდაცია ამოიღეს, შედეგად, 1.5 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ვ) 2.1 კომპონენტში გაცემული 3 რეკომენდაცია ამოიღეს, შედეგად, 1 რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევაში.

ზ) 4.1. კომპონენტში გაცემული 5 რეკომენდაცია ამოიღეს, შედეგად, 2 რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევაში. შედეგად 4.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
თ) 4.4 კომპონენტში გაცემული 1 რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, შედეგად 4.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
შედეგად, პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისია.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი 1-ით გათვალისწინებულ „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2030 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 05 მარტის სხდომის №240521 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4.

   დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები დაიწეროს უფრო კომპაქტურად და მეტად სტრუქტურირებულად.
- რეკომენდებულია, ხელშეკრულებების დადება კულტურულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა ჰქონდეთ.
- რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტის ორგანიზება და დაგეგმვა პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;

- რეკომენდებულია, რომ სწავლების მეთოდოლოგია მოიცავდეს უფრო თანამედროვე მიდგომებს (მაგალითად, ციფრული ქორეოგრაფიული პლატფორმები, პერსონალური თხრობა და ამბის გადმოცემა, ვირტუალური მასტერკლასები და სემინარები, „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდოლოგია).
- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, რომ სწავლის ყველა შედეგი პროგრესულად ვითარდებოდეს გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების სამივე დონეზე,
- რეკომენდებულია, თითოეული აკადემიური კურსის ან საგნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მორგებული იყოს კურსის სპეციფიკაზე, შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და შემუშავებული იყოს ამ შედეგების მიღწევის ეფექტურად გასაზომად;
- რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები იყოს გამჭვირვალე და მკაფიოდ გადმოცემული, რათა ყველა სტუდენტი იყოს ინფორმირებული და უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანობა.
- რეკომენდებულია უფრო შესაფერისი პირობების შექმნა პრაქტიკული მეცადინეობისთვის, განსაკუთრებით სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისთვის.
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც ასახავს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტებს/წესებს ქორეოგრაფიის გაკვეთილებზე ჩართული პირებისთვის. ეს ნორმატიული დოკუმენტი უნდა დაერთოს პროგრამას, გამოქვეყნდეს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იყოს ყველა ჩართული პერსონალისა და სტუდენტისთვის.
- რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელებმა გადახედონ კურსებზე მინიჭებულ კრედიტებს და დააკავშირონ ისინი სწავლის იმ რეალურ მოცულობასთან, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად.
- რეკომენდებულია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი ნაშრომის/პროექტის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილის განხორციელება, რისთვისაც მიზანშეწონილია ცალკე კრედიტების მინიჭება.
- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში შეთავაზებული იქნას თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები.

რჩევები:

- სასურველია, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, პროგრამის მიზნების დადგენისას.
- სასურველია, ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტექსტის აღწერა, რათა ჩამოაყალიბოთ პროგრამის კონკრეტული მიზნები და გამოკვეთოთ პროგრამის უნიკალურობა.
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს შრომის ბაზრის კვლევის პროცესი, კვლევის ინსტრუმენტების სიცხადისა და სპეციფიკის გაუმჯობესების გზით, თვისებრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდების დახვეწით, შედეგების სისტემატური ანალიზით და შემდგომ პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში მათი ეფექტური ინტეგრირებით;
- სასურველია, რომ დარგის სინთეზური ბუნების გამო, პროგრამამ უზრუნველყოს საგნების მრავალფეროვნება და სტუდენტებს შესთავაზოს როგორც დარგობრივი, ისე მასთან დაკავშირებული კურსების ფართო სპექტრი, როგორც ძირითად, ასევე დამატებით მოდულებში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 27 თებერვლიდან.

6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 1 წლის და 6 თვის ვადაში.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ

დანართი №1

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი ქორეოგრაფიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ª, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 27 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 2026 წლის 27 აგვისტრო
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 31 დეკემბერი